განმცხადებელი : ნანა კაკაბაძე
თარიღი : 20-09-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 5;პრინციპი 10

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეარხები "ტვ პირველი" და "მთავარი"

სადავო მასალა :

- მასალა ტელეკომპანია "მთავარის" 2021 წლის17 სექტემბრის 12:00, 18:00 და 21:00-საათიან საინფორმაციო გამოშვებაში მასალა
- ტელეკომპანია "ტვ პირველის" 2021 წლის 17 სექტემბრის 20:00-საათიან საინფორმაციო გამოშვებაში

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

ზემოხსენებული ტელევიზიები ავრცელებენ გაურკვეველი წარმომავლობის რაღაც ინფორმაციებს, რომლებზეც ამ ტელევიზიების ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ისინი ფაილების სახით მიიღეს საიდანღაც და მათი გამომგზავნები ირწმუნებიან, რომ ეს არის სუს-ის მიერ განხორციელებული ფარული მოსმენების ქაღალდზე გადატანილი ნაბეჭდი ტექსტები. ამ ე. წ. საუბრებში ფიგურირებს ჩემი სახელი და გვარიც. სინამდვილეში ეს არის მოგონილი ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი და მიუხედავად იმისა, რომ მე საჯარო განცხადებაც გავავრცელე და მოვუწოდე ჟურნალისტებს შეეწყვიტათ ჩემზე სიცრუის ტირაჟირება, მათ მაინც გააგრძელეს ჩემს შესახებ ფეიკ ნიუსების გავრცელება. ამდენად, დაირღვა ჟურნალისტური ქარტიის პრინციპი 1.ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია (რადგან ჟურნალისტებმა ჩემს შესახებ გაავრცელეს არასწორი ინფორმაციები) პრინციპი 3.ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია (ჟურნალისტებმა გაავრცელეს ინფორმაცია დაუდასტურებელი წყაროდან). პრინციპი 5.მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება (ჟურნალისტებს არ შეუსწორებიათ გამოქვეყნებული არაზუსტი ინფორმაცია, მიუხედავად ჩემი მოწოდებისა). პრინციპი 10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **: ვეთანხმები**